ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N 21

19 დეკემბერი 2025 წელი

დ.ხარაგაული 56-00 9 აპრილის ქუჩა #15

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ „ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს :

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 08/01/2015 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.128.016204)

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგებილებით დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

„მუხლი 1. განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად. (თან ერთვის)

დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

#	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)	კოეფიციენტი
1	საკრებულოს თავმჯდომარე	6560	4,1
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	4960	3,1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	4320	2,7
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	3520	2,2
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3200	2
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2560	1,6
7	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი	3200	2
8	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1920	1,2

9	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1760	1,1

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე